იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული ქალაქ თბილისის, ქალაქ გორისა და შავშვების იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლების სოციალური დახმარების სამი ცენტრის კერამიკული აღჭურვილობით უზრუნველყოფის პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია

2015 წლის 28 ოქტომბერს, კამილიელთა სამედიცინო ცენტრში თბილისში გაიმართა ქალაქ თბილისის, ქალაქ გორისა და შავშვების იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლების სოციალური დახმარების სამი ცენტრის კერამიკული აღჭურვილობით უზრუნველყოფის პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია, რომელიც განხორციელდა იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში, საქართველოში პოლენეთის რესპუბლიკის საელჩოს მონაწილეობით. ცერემონიას დაესწრნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ანჟეი ჩიეშკოვსკი, ადგილობრივი მთავრობისა და პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ზემოხსენებული პროექტის განმახორციელებელია ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელები) საქართველოს ფილიალი. პროექტის ფარგლებში მოეწყო სამი კერამიკის სახელოსნო - თბილისში, გორსა და შავშვების იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში. სახელოსნოები მოემსახურება შეზღუდული შესაძლებლობების პირებსა და ბავშვებს და დაეხმარება მათ გააფართოვონ თავიანთი ფიზიკური შესაძლებლობები და შეიძინონ პროფესიული უნარები. ამ პროექტისთვის გრანტის ოდენობა 88,515 ა.შ.შ. დოლარია.

შავშვების იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლება

გორის ინვალიდთა კლუბი